KARR1319112155019

№13-50177
21 / მაისი / 2019 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ბატონ გიორგი გოგაძეს

საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადმინისტრაციის უფროსის
მაგდა კაპანაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 30 მაისს, საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიულ დღეს, ქალაქ თბილისში სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ დაგეგმილია ოფიციალური სამუშაო შეხვედრის გამართვა თემებზე: „ევროჯასტის მნიშვნელობა და საქართველოსთან თანამშრომლობის პერსპექტივები, ტრანსნაციონალური დანაშაული და ფულის გათეთრება“.

ოფიციალური სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ, ამავე დღეს, პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისში „კლუბი ანდერვილში“ დაგეგმილია საქართველოს პროკურატურის საუკეთესო თანამშრომლების დაჯილდოება, მათ შორის, საქართველოს პროკურატურის საპატიო თანამშრომლის დაჯილდოება.

ღონისძიებას მოწვეული სტუმრის სტატუსით დაესწრება ევროჯასტის პრეზიდენტი ბატონი ლადისლავ ჰამრანი.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, ბატონი ლადისლავ ჰამრანისთვის პროტოკოლით გათვალისწინებულია ქართული წარმოების, ხეში ჩასმული ბრინჯაოს სატევარის საჩუქრად გადაცემა.

საქართველოს პროკურატურის საპატიო თანამშრომლის დაჯილდოების მიზნით, 2019 წლის 1 მაისის N13-42579 მოხსენებით ბარათზე დამატებით გაცნობებთ, რომ გვესაჭიროება ორი ცალი საპატიო თანამშრომლის ჯილდოს დამზადება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ შესაბამის სამსახურს თანდართული ინვოისების მიხედვით უზრუნველყოს სასაჩუქრე ნივთის (სატევარის) და ორი ცალი საპატიო თანამშრომლის ჯილდოს შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურები.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

მაგდა კაპანაძე